საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური 23 01 03
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სახელმწიფო ფინანსების მართვა

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
სახელმწიფო ხაზინის განვითარება 230103

პროგრამის განმახორციელებელი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
230103	სახელმწიფო ფინანსების მართვა	2150.0	2575.0	2571.4	99.86	

➢ *სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება*

- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა და შესაბამის ადრესატებს მიეწოდა საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგება.
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებზე მომზადდა სტატისტიკური და ანალიზური ანგარიშები.
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსავლების კლასიფიკაციის შესაბამისად შეიქმნა ელექტრონული ბაზა და მომზადდა ე.წ. „ვებ-რეპორტები“, რომელიც საშუალებას იძლევა დაგენერირდეს ინფორმაცია შემოსავლების დეტალურ მონაცემებზე წლების, თვეებისა და დღეების მიხედვით დინამიკაში.
- სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა და ყოველთვიურად განახლებას ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები წლებისა და თვეების მიხედვით,

კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსულობები, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. ასევე, ვებ-გვერდზე ხდება ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაციის განთავსება/განახლება.

- სახაზინო სისტემაში (eTreasury) გაკეთდა ახალი ანგარიშები (რეპორტები):
  - ნაერთი ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლები;
  - ხარჯების შედარება პერიოდებს შორის;
  - ინფორმაცია დაუმოწმებელ წინასწარ გადახდებზე.

➢ *გადახდების ელექტრონული სისტემა*

- 2013 წლის იანვრიდან ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ფუნქციონირება დაიწყო ხაზინის მთავარი წიგნის შრომის ანაზღაურების მოდულმა, რომელშიც ინტეგრირებულია ბუღალტრული აღრიცხვა. ამასთან დაკავშირებით, ხაზინის თანამშრომლებმა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ჩაატარეს სახაზინო პროცედურებისა და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის სასწავლო ტრეინინგები. სისტემის ფუნქციონალი მუდმივად იხვეწება და ახლდება საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

- ხაზინის ელექტრონულ სისტემაში (eTreasury) გაკეთდა სააღსრულებლო ფურცლებისა და საინკასო დავალებების რეესტრი, რაც საშუალებას იძლევა ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხების შესახებ მონაცემები დამუშავდეს ელექტრონულად და ოპერატიულად დამუშავდეს შესაბამისი ინფორმაციები.

- განხორციელდა ხაზინის ელექტრონული სისტემის დაკავშირება სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტენდერების საძიებო და მართვის სისტემასთან, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ხაზინის საინფორმაციო სისტემაში არასატენდერო კონტრაქტებიც აისახება შესყდვების ბაზის მეშვეობით, ხოლო კონტრაქტებზე გადახდები ხაზინის ბაზიდან ავტომატურ რეჟიმში აისახება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში.

- უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განხორციელებული პროექტების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით სახაზინო სამსახურში განხორციელდა დონორების სინქრონიზაციასთან დაკავშირებული რეფორმა. სახაზინო სამსახურის სისტემაში არსებული დონორების კლასიფიკაციის და ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტში აღრიცხული დონორების კლასიფიკაციის სინქრონიზაციის შედეგად შეიქმნა დონორების ახალი კლასიფიკატორი. უცხოურ ვალუტაში ჩამორიცხული თანხების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით განახლდა ცხრანიშნა სავალუტო კოდები, როგორც დონორების კუთხით, ასევე თანხების მიზნობრიობის და სახეების მიხედვით.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად განხორციელდა სამუშაოები სესხებისა მართვისა და ბიუჯეტის შემოსულობების მართვის პროგრამების დახვეწისა და სრულყოფის, ასევე ახალი სერვისებისა და ინსტრუმენტების შექმნის მიზნით.

- განხორციელდა სახაზინო სამსახურის თითოეული დეპარტამენტის (მ.შ. სამმართველოების) სამუშაო პროცესების აღწერა Microsoft Visio-ს ფორმატში.

➢ ***საბანკო ანგარიშსწორების სისტემა***

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე, უცხოური ვალუტის ორმაგი გაცვლითი კურსის პრქატიკის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად სახელმწიფო ხაზინამ განახორციელა უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოების მექანიზმის ძირეული ცვლილება. რეფორმამდე სახელმწიფო ხაზინა თანხების კონვერტაციას ახდენდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი იმავე დღეს მოქმედი კურსით. რეფორმის შემდგომ სახელმწიფო ხაზინა თანხების კონვერტაციაზე ეროვნულ ბანკში განაცხადს წარადგენს ოპერაციის წინა სამუშაო დღეს, მომდევნო საოპერაციო დღის მოქმედი კურსით. აქედან გამომდინარე, ხაზინის საინფორმაციო სისტემაში შეიცვალა ვალუტის კურსის განახლების პროცედურა, საკონვერტაციო მოთხოვნის გადათვლის მექანიზმი და ანგარიშსწორების პროცესი, ასევე შეიცვალა სავალუტო საგადახდო მოთხოვნის წარდგენისა და სავალუტო ოპერაციების წარმოების წესი (2013 წლის 20 მარტს ცვლილება შევიდა „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1318 ბრძანებაში).
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბანკო ანგარიშსწორების სისტემაში მოხდა მასშტაბური ცვლილება ბანკების (მ.შ სახელმწიფო ხაზინის) კოდების ფორმატებში. კერძოდ, ადრე არსებული 9 ნიშნა საბანკო კოდების ნაცვლად გამოიყენება BIC (Bank Identification Code) კოდები, რომლითაც ბანკები ჩართული არიან ანგარიშსწორების საერთაშორისო სისტემაში. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა ახელმწიფო ხაზინის საინფორმაციო სისტემაში.

➢ ***საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვა***

- ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად და IFAC პოლიტიკის დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით, მთარგმნელებისა და ე. წ „მიმომხილველი კომიტეტის“ მიერ

განხორციელდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ქართულ ენაზე თარგმნა და რედაქტირება. თარგმნის პროცესში შეთანხმებული ტერმინები საოქმო ჩანაწერებთან ერთად გაიგზავნა IFAC-ში. სტანდარტების საბოლოო სახით ჩამოყალიბების და ოფიციალური თარგმანის სტატუსის მოპოვების მიზნით, ამჟამად სახაზინო სამსახურის მხრიდან ხორციელდება აღნიშნული სტანდარტების გადახედვა.

- აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის მიერ პირველ ეტაპზე ჩატარდა IPSAS შესავალი კურსი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა მსმენელების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ძირითადი პრინციპების გაცნობას, ასევე, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლებას.

- ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვისა და ზოგადად, საჯარო სექტორში არსებული არაფინანსური აქტივების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საერთაშორისო ექსპერტის და ადგილობრივი ექსპერტების მიერ განხორციელდა კვლევა, რაც ითვალისწინებდა გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების მდგრადი მეთოდის შემუშავებას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით და რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად. კვლევის პროცესში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების სფეროში არსებული ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტებმა შეისწავლეს სხვადასხვა უწყებებში არსებული პრაქტიკა, გაეცნენ არაფინანსური აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და სხვ. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოვლენილი გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობების გაზიარების და ასევე, გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გაცნობის მიზნით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარი. კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ, რაც IPSAS სტანდარტების დანერგვის პერსპექტივის გათვალისწინებით, დეტალურად მოიცავს კვლევის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებებს გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის არსებულ პრაქტიკასთან მიმართებით, ასევე, გრძელვადიანი აქტივების რეესტრის წარმოებისთვის გასათვალისწინებელ ძირითად მოთხოვნებს და რეკომენდაციებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების არსებული მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის

8 აპრილის N97 ბრძანებით დამტკიცდა „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი“. აღნიშნული წესით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები წლიური ფინანსური ანგარიშგების მოდიფიცირებული საკასო მეთოდით მომზადების მიზნით, გარდამავალ ეტაპზე, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სრული დარიცხვის მეთოდის დანერგვამდე. წლიური ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგების და საჯარო სექტორის აღრიცხვის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N446 ბრძანების საფუძველზე დაზუსტდა აღნიშნული მეთოდოლოგია.

- მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შეტანილ იქნა ცვლილებები შემდეგ ნორმატიულ აქტებში: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებაში და ,,ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებაში.

➢ *სახელმწიფო სესხების მართვა*

- ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის, გრაფიკში ცვლილების შეტანის, სასესხო დავალიანების პატიებისათვის შესახებ კომისიისათვის წარსადგენად შემოსულ იქნა 60-მდე წერილობითი მომართვა. იმ სუბიექტებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს მიეცათ შესაბამისი მითითებები და რეკომენდაციები. ხოლო სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე საწარმოებზე მომზადდა სათანადო მასალები და განსახილველად წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ კომისიას. კომისიამ 2 სუბიექტს დაუკმაყოფილა თხოვნა სესხის დაფარვის გრაფიკში შეიტანის თაობაზე, ვადაზე ადრე რეჟიმი შეუწყდა 5, ხოლო სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა 9 საწარმოს შემთხვევაში. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და წარედგინა საქართველოს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

- შემუშავებულ იქნა ინიციატივები „საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ასევე განხორციელდა კონსულტაციები ფინანსთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან რესტრუქტურიზაციის შესახებ ახალი კანონის შექმნასთან დაკავშირებით, ასევე მომზადებული იქნა „სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებზე წარმოშობილი ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის და ადმინისტრირების მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის მიმართვის და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

➢ *ბიუჯეტის შემოსულობების (გადასახადები)აღრიცხვა*

- წლის განმავლობაში სახაზინო სამსახური შემოსავლების სამსახურსა და საფინანსო ანალიტიკურ სამსახურთან ერთან მუშაობდა გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდის პროექტზე, რომლის მიზანია გადამხდელებისათვის ბიუჯეტთან ანგარიშწორების გამარტვიება (კერძოდ, გადასახადების გადახდა ერთიან კოდზე და ვალდებულებების მიხედვით განაწილება) და საგადასახადო შემოსავლების მთავარ წიგნში ინტეგრირება. მომზადდა პროექტის კონცეფცია და ტექნიკური დავალება. შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე შემუშავდა ცვლილებები ანგარიშგებების მომზადებისა და შემოსავლების სამსახურთან ინფორმაციის გაცვლის სერვისების აწყობის მხრივ. სერვისის სრულ სამუშაო რეჟიმში გაშვებამდე მიმდინარეობს ტესტირება.

➢ *ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება*

- 2013 წლის განმავლობაში ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების ქვეანგარიშზე მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 70.6 მლნ. ლარი, ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების მოცულობამ შეადგინა 87.9 მლნ. ლარი, მათ შორის დღგ-ს თანხამ შეადგინა 86.3 მლნ. ლარი.

➢ *ადამიანური რესურსების განვითარება*

- სახაზინო სამსახური აქტიურად მუშაობს შიდა რესურსების განვითარების მიმართულებით. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებში

მუდმივად არიან ჩართული სახაზინო სამსახურის თანამშრომლები: გასული წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, USAID Georgia G3 პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები გაიარა სახაზინო სამსახურის 38 თანამშრომელმა ათ სხვადასხვა მოდულში (ადამიანი რესურსების მართვა, მოსახლეობის ჩართულობა პოლიტიკაში, საჯარო მმართველობა, სტრატეგიული დაგეგმარება, პროექტის მართვა, პრეზენტაციისა და წერის უნარები, სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში და ეთიკა საჯარო სამსახურში). თითოეული მათგანს საშუალება მიეცა დასწრებოდა რამდენიმე თემატურ კურსს. აგრეთვე „ელექტრონული მმართველობის“ თემაზე ევროკავშირის დაფინანსებით და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებული სპეციალური კურსის მეშვეობით გადამზადდა ამჟამად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის პროქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხიმგებელი პირი.

- 2013 წლის 29 ნოემბერიდან 26 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში გამოცხადდა კონკურსი 83 ვაკანსიაზე. გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე მიღებულ იქნა სულ: 991 განცხადება. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებასაკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან) მოწვეულ იქნა სულ: 309 კანდიდატი. კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 82 კანდიდატი.

➢ *საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება*

- აქტიური სამუშაოები წარიმართა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების განსაზღვრულ ვადაში შესრულების მიზნით. კერძოდ, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და სამინისტროს ცენტრალურ აპარატთან ერთად შემუშავდა საჯარო ინფორმაციის სახაზინო სამსახურის ელექტრონულ რესურსზე პროაქტიულად განთავსების ფორმატი, მოძიებული იქნა, დამუშავდა და შემდგომი გამოქვეყნებისთვის მომზადდა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხით გათვალისწინებული მასალა.